

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტი

ნანა ხაზარაძე, აკადემიკოსი
თამარ ხოხობაშვილი, პროფესორი

კლიო – ისტორიის და საგმირო ეპოსის მუზა 1914–1918 წლების საქართველოში

სტატიაში ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ I მსოფლიო ომის საშინელებათა მიუხედავად, კლიო - ისტორიისა და საგმირო ეპოსის მუზა საქართველოში არც სდუმდა და არც სთვლემდა. პირიქით, დიდი ივანე ჯავახიშვილისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა დაუღალავი, თავგანწირული შრომის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ საისტორიო მეცნიერებას, რომელმაც ასწლოვანი გზა ღირსეულად განვლო და მომავალი განვითარების პერსპექტივებიც გააჩინა.

Nana Khazaradze, Academician
Tamar Khokhobashvili, Professor

Clio – Muse of History and Heroic Poetry in Georgia of 1914-1918

The article demonstrates on the example of the life of Ivane Javakhishvili that despite the horrors of the World War I and the sacrifice made, Clio – the muse of history and heroic poetry was neither silent nor dormant in Georgia. On the contrary, as a result of the tireless, selfless work of great Ivane Javakhishvili and other Georgian figures, the foundation was laid for new Georgian historical science, which has gone the centennial path with dignity and also has the prospects of future development.

ქართული კულტურა - ეროვნული იდენტობის ფენომენი

ნინო გომართელი
თამარ ხოხობაშვილი

იდენტობის ძიება საზოგადოების ევოლუციური განვითარების თანმდევი პროცესია. ევროპული იდენტობის ფორმირებაზე მრავალი ფაქტორი ახდენდა ზეგავლენას – პოლიტიკური, გეოგრაფიული, რელიგიური, კულტურული... ევროპის განსაზღვრება საკმაოდ პირობითია. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ევროპა და აზია ერთი კონტინენტის - ევრაზიის ნაწილებია. ევროპა საერთო ღირებულებების და ინტერესების მქონე ერების ოჯახია.

Georgian culture – the phenomenon of National Identity

Nino Gomarteli
Tamar Khokhobashvili

Searching for identity is a normal evolutionary process for human societies. The formation of the European identity was influenced by many factors including geographic, political, cultural... Due to its geographic location, Georgian has long been a natural crossroads for many powerful cultures. Nevertheless, the country has preserved its cultural identity, along with an unwavering interest in the Western world. Now that the country is putting that European nations will be partners to us our journey.

რუსეთისა და გერმანიის I მსოფლიო ომის წინა პერიოდის შეიარაღების შედარებითი ანალიზი რიჩარდსონის მოდელის საფუძველზე

დარეჯან ცუცქერიძე, ასისტენტ-პროფესორი, ხათუნა ჩაფიჩაძე, ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო სიმპოზიუმების სამეცნიერო შრომების კრებული, პირველი და მეორე მსოფლიო ომი და სამხრეთ კავკასია, თბილისი, 2017, გვ.77-83

ანოტაცია: შერჩეული თემის აქტუალობა თანამედროვე სამყაროში კონფლიქტების სიმრავლითაა განპირობებული. კონფლიქტების დარეგულირებისა და მოგვარების

საშუალებების სიმრავლის მიუხედავად, შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა კონფლიქტების პროგნოზირებას. ავტორებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ქართულ სამეცნიერო წრეებში დაინერგოს და ფართოდ გავრცელდეს კვლევის ისეთი მეთოდები, რომლებიც კონფლიქტების პრევენციას პროგნოზირების საფუძველზე შეუწყობს ხელს. აღნიშნულ მეთოდოლოგიას შესაბამისი პრაქტიკული დანიშნულება ექნება. კერძოდ, შესაძლებელი გახდება:

1. ლატენტური კონფლიქტების დროული გამოვლენა;
2. გამოვლენილი, მაგრამ „გაყინული“ და ღია კონფლიქტების ეფექტური მოგვარება;
3. კონფლიქტების შემდგომი გამწვავებისა და დაპირისპირების ახალ ფაზაში შესვლის თავიდან აცილება...

ამ მიზნით, ავტორებმა შეისწავლეს სოციალურ მეცნიერებებში, კერძოდ, პოლიტიკის მეცნიერებასა და კონფლიქტების კვლევებში არსებული სხვადასხვა კვლევითი მეთოდები და ყურადღება „რიჩარდსონის მოდელზე“ შეაჩერეს. მათ მიზნად დაისახეს რიჩარდსონის მოდელის სისწორის დადასტურება - ქართულ სივრცეში მისი დამკვიდრების თვალსაზრისით. საილუსტრაციოდ კი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკებიდან პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ორი სუბიექტი-სახელმწიფო, კერძოდ, რუსეთი და გერმანია შეარჩიეს და რიჩარდსონის მოდელის ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, აღნიშნული სუბიექტების I მსოფლიო ომის წინა პერიოდის (1900-1913 წლების) შეიარაღების შედარებითი ანალიზი ჩაატარეს. კვლევამ დაადასტურა რიჩარდსონის მოდელის სისწორე და ავტორთა მიზანი ეჩვენებინათ რიჩარდსონის მოდელის პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება კონფლიქტის პროგნოზირებისა და პრევენციის თვალსაზრისით ნაშრომში დადასტურდა. ავტორები იმედოვნებენ, რომ კონფლიქტების კვლევა აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით ქართულ სივრცეშიც დამკვიდრდება.

Comparative analysis of Russia's and Germany's Armament Preceding the World War I Based on the Richardson's Model

Darejan Tsutskiridze, Khatuna Chapichadze

International scientific symposiums proceedings, The I and II World War and South Caucasus, Tbilisi, 2017, pp. 77-83

Annotation: Proposed topic actuality refers to great variety of the conflicts in the modern world. Despite of various conflict resolution possibilities, less attention is paid to the conflict prediction. The authors consider the importance of the development of the research methods for the conflict prevention based on conflict prediction. Such methodology will be of practical importance for identifying latent conflicts timely, as well as for effective resolution of frozen and open conflicts and avoiding aggravation of a conflict and further confrontation.

For this purpose, various methods existing in social sciences have been observed by the authors and the Richardson's Model was elected to be examined. For verifying the viability of this method for Georgia, the appropriate comparative analysis was conducted based on the factors of the Richardson's Model selecting Russia and Germany as two confronting countries of the World War I.

The conducted research confirmed the validity of the model and its practical importance in terms of conflict prediction and prevention. The authors rely on development of this methodology for conflict research in Georgia.

ლუვიური იეროგლიფების სემანტიკური კოდები I

აკად. ნანა ხაზარაძე

რედაქტორი აკად. თ. გამყრელიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ISBN 978-9941-27-102-1(პირველი წიგნი) 2017 , 142გვ.

ანოტაცია: ჩატარებულმა ძიებებმა იმ ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ძველი ანატოლიის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის პირველხარისხოვან წყაროს არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ვრცელ რეგიონში მრავლად აღმოჩენილი სხვადასხვა ხასიათის ეპიგრაფიკული ძეგლები წრმოადგენს, არამედ თავად ლუვიური იეროგლოფური ნიშნები, რომლებიც უძვირფასეს ინფორმაციას გვაწვდის ძველი ანატოლიის ფიზიკური გეოგრაფიის, ფლორისა და ფაუნის, მემინდვრობის, მევენახეობა-მებაღეობის, არქიტექტურის, ხელოსნობის, შეიარაღების, საზოდადოების სოციალური სტრუქტურისა და ძველანატოლიელთა რწმენა-წარმოდგენების შესახებ.

SEMANTIC CODES OF LUWIAN HIEROGLYPHS I

2017, 142p. editor academician Th. Gamkrelidze, Georgian National Academy ISBN 978-9941-27-102-1

Annotation: The conducted research has led us to the unequivocal conclusion that for the reconstruction of the history of Ancient Anatolia, not only epigraphic remains of various character, discovered abundantly in the extensive area of the Near East, but also the Hieroglyphic Luwian symbols properly represent historical source of primary importance. They offer valuable information on the Ancient Anatolian geography, flora and fauna, field husbandry, viticulture, gardening, architecture, workmanship, armament, social structure as well as beliefs of the Ancient Anatolians.

ჯვაროსნული ლაშქრობის თეორიული პროექტები და საქართველო (XIV საუკუნის I ნახევარი)

მურმან პაპაშვილი

დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გორი 2017 წლის 24 თებერვალი

ანოტაცია: მოხსენებაში არგუმენტირებულად იქნა დასაბუთებული, თუ რატომ ამბობდა უარს საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალე საფრანგეთის მეფის ფილიპ V ვალუას ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობაზე. ამასთან დაკავშირებით ახლებური თვალსაზრისი იქნა წარმოდგენილი. კერძოდ, საქართველოს მეფე საკმაოდ იყო ინფორმირებული ამ ლაშქრობის თეორიული და პრაქტიკული მომზადების შესახებ და არ იყო დარწმუნებული მის რეალურად განხორციელებაში.

იმ საერთაშორისო ვითარებაში, როცა საქართველოს ეგვიპტის სულთნებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ილხანებისაგან ქვეყანას არანაირი საფრთხე არ ელოდა, ხოლო თურქთა მხრიდან საშიშროება არ იყო, საქართველოს მეფემ დიპლომატიურად აიცილა თავიდან ანტითურქულ ალიანსში მოკავშირეობის წინადადება. გიორგი V-ის ჯვაროსნული მენტალიტეტი სრულად ექვემდებარებოდა აქტიურ სამხედრო მოქმედებას და არა იმ დროს არსებულ სხვადასხვა თეორიულ პროექტებს.

The fourth International Scientific Conference Dedicated to David Aghmashenebeli. Gori, Georgia, 24 February.

Theoretical projects Crusaders and Georgia (I half of the XIV century)

Murman Papashvili

Annotation: In the report, the author's new view was reasonably proved: The King of Georgia was quite well informed about the theoretical and practical preparation of the crusade and was not sure that it would be carried out. In the international situation when Georgia had good relations with Egyptian sultans, and no danger lay in wait for the country from the Ilkhanate, and a threat from Turkey was insignificant, the Georgian king diplomatically avoided participating in the anti-Turkish alliance. The mentality of King Giorgi Y was completely subordinated to active military actions, and not to various theoretical projects that existed at the time.

ვაჟა-ფშაველა „ვეფხისტყაოსნის“ ბეჯითი მეცხოვრე

მამუკა ჭანტურაია ფილოლოგიის დოქტორი

მსოფლიო ისტორიამ უსამართლობის მრავალთმრავალი მაგალითი შემოგვინახა. დასაბამიდან აურაცხელი დანაშაული ჩაიდინეს ადამიანებმა. არ ინდობდნენ არც შინაურებს, არც გარეშეებს. უპირველესი ცოდვა, რაც დედამიწის ზურგზე მოხდა, ადამის ძის, კაენის, კისერზეა. არც ქრისტეს ერამდე, არც შემდეგ ხანებში ჩვენს ცოდვილ მიწას არ მოსცილებია მტრობა, შური, ქიშპი, ღვარძლი, შუღლი, სხვა ათასი მანკიერება. ენით გამოუთქმელ ბოროტებას ჩადიოდნენ როგორც რიგითი მოკვდავნი, ისე ძლიერნი ამა სოფლისანი. ჩვენამდე მოღწეული წარმოუდგენელი უსამართლობა ის იყო, რომ ძველ ათენში დიდ მოაზროვნეს, სოკრატეს, შხამის შესმა მიუსაჯეს. შემზარავი საკაცობრიო დანაშაული ჩვენი მაცხოვრის ჯვარცმა იყო.

რამდენი ნათელი გონების, თავისუფალი აზრის, მხურვალე გულის პიროვნება შეეწირა ბნელეთის მოციქულთა, ბოროტეულთა, კაცთმოძულეთა ავ ზრახვებს. განსაკუთრებით მტრობდნენ ხელოვნების მსახურებს, სიტყვის ოსტატებს, რადგან განუზომელი იყო მათი პოპულარობა, რაც გონებას უბნელებდა ხელმოცარულ მოშურნეებს. ცოდვა-ბრალი ტრიალებდა საქართველოშიც, დიდებული სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარს, არსაკიმეს, მარჯვენა მოკვეთეს, ქვეყნისათვის თავდადებული, უნიჭიერესი მეიგავე სულხან-სააბა ორბელიანი სამშობლოს

მოღალატედ შერაცხეს, გენიოსი ჭაბუკი ნიკოლოზ ბარათაშვილი უცხო მიწაზე სასიკვდილოდ გაწირეს, ერის მამად აღიარებული ილია ჭავჭავაძე ტყვიით განგმირეს, დიდი მოსანი ვაჟა-ფშაველა მარადიული სიდუხჭირისთვის გაიმეტეს, მთის დიდი მხატვარი ალექსანდრე ყაზბეგი სულით ავადმყოფთა სახლში გამოკეტეს...

ამ დანაშაულობათა გამო წუხდა გალაკტიონი, რომელსაც მთელი ცხოვრება ფრთების გაშლის უფლება მოუსპეს, მაგრამ საბედისწერო ფრთების გაშლას არავინ შეწინააღმდეგებია.

საქართველოში წინათ მრავალი,
ისტორიულად არწარმავალი,
ვიდოდა მტრობა - გესლით მავალი,
და სისინებდა ქვეწარმავალი.
მისგან სიბნელე არეს ჰფენია,
შეხედეთ: გესლი რაოდენია,
ის ანადგურებს ვეფხისტყაოსანს,
რომ რუსთაველის ჩაჰკლას გენია.
ის შხამავს ასე უბრალოდ მზიანს
ვაჟა-ფშაველას დეკას და ღვიას,
ის წიწამურთან ხვდება ილიას
და მზიურ შუბლში უმიზნებს ტყვიას.
ყოველი კარგის წინააღმდეგი,
პირმშვენიერ დღის როს არს დამდეგი,
მშობლიურ მიწას სწყვეტს ბარათაშვილს
და სიგიჟედ მიჰყავს ყაზბეგი.
(ტაბიძე. 1966: 138).

ჯოჯოხეთის დესპანებს საკუთარი ცოდვა არ ასვენებდათ. ზარდამცემია ის დანაშაულობანი, რაც ჩვენი ქვეყნის უახლეს წარსულში და ახლანდელ დროში მოხდა.

დავიწყების ფერფლი აყრია უამრავ უსამართლობას, რომელთა ნაწილი ლეგენდად შემორჩა ივერთა მხარეს. მათ შორის ამჯერად ჩვენი გენიოსი რუსთაველის ცხოვრება გვანტერესებს. ლეგენდა სხვადასხვაა. ერთი ვარიანტი გვაუწყებს, რომ შუა ასაკს მიტანებული შოთა საქართველოდან გააძევეს, მეორე ვარიანტის მიხედვით, ხანდაზმული პოეტი თავისი ნებით გაემგზავრა იერუსალიმის ქართველთა მონასტერში და ბერად აღიკვეცა. ასეთია გადმოცემა, მაგრამ სინამდვილეში რა მოხდა, არავინ იცის, რადგან თუ თანამედროვე ტერმინს მოვიშველიებთ, არავითარი მეტრიკული ამონაწერი ან თუნდაც რაიმე საანკეტო ფურცელი არ არსებობს. ის კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ვეფხისტყაოსანს“ მოკეთებთან ერთად მტრებიც გამოუღველად ჰყავდა საქართველოში. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც,

მართალია, აღიარებდნენ შოთას ტალანტს, მაგრამ მიიჩნევდნენ, რომ მისი ქმნილება ადამიანის სულისთვის სარგებლობის მომტანი არ იყო.

არც ისე უღონოა ინერცია, პირიქით, საკმაოდ ძალის მქონეა იგი. საკითხავია, რამდენმა დრომ უნდა გაიაროს, რომ სამუდამოდ დასამარდეს ჩვენში ფესვგადგმული, ყოვლად მავნებლური თვალსაზრისი, თითქოს ეკლესია ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა „ვეფხისტყაოსანს“.

ეს საბჭოური პოლიტიკის მორიგი ფანდი იყო, რათა ადამიანები უღმრთო არსებებად გადაექციათ. ღმერთის მგმობელი ბოლშევიკები გამუდმებით ხელს იშვერდნენ ეკლესიისაკენ, ცდილობდნენ დაერწმუნებიათ ხალხი, რომ ეკლესია „ვეფხისტყაოსნის“ უპირველესი მტერი იყო. ცხადია, სასულიერო წრეებში, ისევე როგორც საეროში, იყვნენ ცალკეული გონებადაბნელებული პიროვნებები, რომელთაც არ მოსწონდათ პოემაში ასახული იდეები, მაგრამ მთლიანად ეკლესიის დადანაშაულება წინასწარგამიზნული ბოროტება იყო.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთ ვითარებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო თავისი დროისთვის საკმაოდ განათლებული, მრავალმხრივი შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ანტონ პირველი კათოლიკოსის „წყობილსიტყვაობის“ ერთ-ერთმა იამბიკომ, რომელიც შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი. კათოლიკოსს საკუთარმა ღირსებამ უფლება არ მისცა, სიმართლით არ შეეფასებინა რუსთაველის ნიჭიერება, სიბრძნე, განსწავლულობა, მაგრამ თავისი ორთოდოქსულ შეხედულებათა გამო დიდ პოეტს ნაწერი დაუწუნა: „შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყუარე ფრიად, ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის, თუ სამ ჰსწადოდა, ღმერთის-მეტყუელიცა მაღალ, უცხო საკვრულ, პიტიკოსი მესტიხე, მაგრა ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესე“. (ანტონ პირველი კათოლიკოსი 1853: 282).

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პლატონ იოსელიანის გადმოცემით, ანტონ პირველმა ვახტანგის მიერ დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, 80 ცალი, მტკვარში გადააყრევინა: „დღესა ერთსა 80 დაბეჭდილი წიგნი ვახტანგ მეფისვე დროსა შთააყრევინა მტკვარსა, ვითარცა წიგნი მავნებელი მკითხველთათვის, მომწამვლველი ქრისტიანეთა გონებისა და გრძნობისა“. (იოსელიანი 1936: 181).

მაგრამ დღემდე პასუხგაუცემელია, რა ცნობას ეყრდნობოდა პლატონ იოსელიანი, რადგან რაიმე ისტორიული საბუთი ამ ვანდალური აქტის თაობაზე არ არსებობს. ესეც რომ არ იყოს, ანტონი ერთი პიროვნებათაგანი იყო, თუმცა მაღალჩინოსანი და არა მთელი ეკლესიის ნების გამომხატველი, რაც მარჯვედ გამოიყენეს კომუნისტებმა საკუთარი მიზნებისათვის.

რაც შეეხება მთლიანად სასულიერო წოდებას, ორთავ თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა „ვეფხისტყაოსანს“ და მეორე ბიბლიად ესახებოდა იგი.

გავიხსენოთ თუნდაც ილია ჭავჭავაძის მღვდელი „გლახის ნაამბობიდან“, რომელსაც უდიდესი გზნებით ათქმევინებს ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ: „ეს წიგნი არის ქართველების გულის საუნჯე. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია-რა... ბევრგან იმის სიტყვები გაჭირვებაში გულს მოგფხანენ, ჭირს გაგიადვილებენ, გულს და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ...“ (ჭავჭავაძე 1988: 160-161).

ჩვენ ხომ ისიც ვიცით, რომ ეს ღვთისნიერი მღვდელი ილიას სიყმაწვილისდროინდელი მოძღვრის პროტოტიპი გახლდათ, რომელიც მომავალ მწერალს რუსთაველზე ბევრს ესაუბრებოდა.

რად ღირს თუნდაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის ნაშრომი შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ, რომელშიც მთელი სისრულით წარმოგვიდგა ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელის არა მხოლოდ ღრმა მეცნიერულ-კვლევითი შესაძლებლობანი, არამედ დიდი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება და „ვეფხისტყაოსნისადმი” პატრიარქის თავდადება.

ასევე დიდად მნიშვნელოვანია შოთა რუსთაველისადმი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის თანადგომა. უნდა ვივარაუდოთ, რომ უწმინდესი ეფრემ მეორის მეოხების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის (აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, ირაკლი აბაშიძე) დაშვება ქართველთა ჯვრის მონასტერში და, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა მონასტრის კედელზე დიდი წმინდანების: იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხითი დახატული და შემდეგ მუქი ლურჯი საღებავით ბარბაროსულად გადაღებილი რუსთაველის ფრესკის აღდგენა და მისი ანაბეჭდის საქართველოში ჩამოტანა. როგორც ცნობილია, 1960 წელს, უწმინდესმა ეფრემ მეორემ იერუსალიმის პატრიარქს, ბენედიქტე პირველს, თხოვნით მიმართა, დახმარებოდა ექსპედიციის წევრებს სამეცნიერო მუშაობაში და (ეს დაუფარავად უნდა ითქვას), იერუსალიმის პატრიარქმა საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ აღასრულა საქართველოს პატრიარქის თხოვნა.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ რუსთველოლოგიაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ეფრემ მეორის ნაშრომს: „რუსთაველის აღმსარებლობისათვის და „ვეფხისტყაოსნის” დევნისათვის”, რომელშიც საფუძვლიანი კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ რუსთაველი ქრისტიანი მართლმადიდებელი მწერალია, ხოლო მისი „ვეფხისტყაოსანი” დიდებული ქრისტიანული ძეგლი.

ქართველი ერი განადიდებდა „ვეფხისტყაოსანს”. ყოველ ოჯახში ნამდვილ საგანძურად მიაჩნდათ იგი. „ვეფხისტყაოსანი” უპირველეს მზითევთა ნუსხაში ირიცხებოდა, რომელიც სიძის სახლში გადატანისას აუცილებლად უნდა ეკურთხებინათ. რასაკვირველია, ხალხთა ფართო მასებშიც მოიძებნებოდნენ ისეთებიც, რომლებსაც უმეცრების გამო, უნარი არ შესწევდათ, სწორად შეეფასებინათ ქართველი ერის ეს სულიერი საუნჯე. აი, რას გვეუბნება ერთი ხალხური ლექსი:

„ქალი მყვანდა მშვენიერი,
თავმორთული კაოსანი,
გავათხოვე, გავატანე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი”.
წაეკითხათ, ვერა ეგრძნოთ,
თურმე იყვნენ ვიროსანნი,
ისევ უკან დავიბრუნე
ჩემი „ვეფხისტყაოსანი”.

როგორც ვხედავთ, განრისხებულმა წიგნის პატრონმა „ვეფხისტყაოსანი“ კი დაიბრუნა, მაგრამ ამ რეგვენ მოყვრებს თავისი ქალი დაუტოვა თუ არა, ამაზე არაფერს ამბობს.

დაობდნენ სამეცნიერო წრეებში. როგორ მოულოდნელად უნდა მოგვეჩვენოს, მათ შორის იყვნენ ისეთები, რომლებიც თავიანთი წინდაუხედავი, განუსჯელი მსჯელობით, ნებსით თუ უნებლიეთ, ზიანს აყენებდნენ „ვეფხისტყაოსანს“. ზოგჯერ სწავლულთა ცილობა ყოველგვარ ზღვარს გადადიოდა. იყო ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებებიც. განსაკუთრებით ცხოველი კამათი გამოიწვია პოემის ორიგინალობა-„ნათარგმანების“ საკითხმა. მკვლევართა ერთი ნაწილი „ვეფხისტყაოსანს“ რუსთაველის ფანტაზიის ნაყოფად, საქართველოშივე შექმნილ ნაწარმოებად მიიჩნევდა, მეორე ნაწილი მას უცხოური (სპარსული) ფაბულიდან ნასესხებ თხზულებად თვლიდა, რომელიც თითქოს შემდეგ რუსთაველმა გალექსა.

XVIII საუკუნის მეფე-პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ სტამბურად პირველი მეცნიერ-გამომცემელი ვახტანგ მეექვსე, რომელიც კარგად იცნობდა სპარსულ ლიტერატურას, წიგნზე დართულ თავის „თარგმანში“ (დღევანდელი ქართულით, კომენტარებში) მეტად მნიშვნელოვან, ამავე დროს, საკმაოდ ორიგინალურ მოსაზრებას გვთავაზობდა. სპარსელებმა კარგი მელექსეობა იცოდნენო. საქართველოს სასიქადულო მეფე თამარს უფიქრია, ჩვენ მათზე ნაკლები ლექსები რატომ უნდა გვექონდესო და თავისი მდივნისთვის, რუსთაველისთვის, უბრძანებია, ქართულად კარგი ლექსები თქვიო. იმასაც შეუსრულებია სათაყვანებელი მეფის დავალება. რადგან პოემა სპარსელების წახედულობით დაუწერია, ამიტომაც ამბობს, სპარსულიდან ვთარგმნეო, „თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება: ამბავიც თვითონ გააკეთა“, - დასკვნიდა ვახტანგი. (ვახტანგ მეექვსე 1712: გვ. სჟე-სჟვ).

დავა განსაკუთრებით XIX საუკუნის 80-90-იან წლებში გამწვავდა. ქართველმა მეცნიერებმა, მწერლებმა, კრიტიკოსებმა, პუბლიცისტებმა ამ საკითხზე არაერთი წერილი გამოაქვეყნეს. საზოგადოების ყურადღება ერთ-ერთმა პირველმა ალექსანდრე ხახანაშვილის წერილმა მიიპყრო, რომელიც გაზეთ „ივერიის“ 1890 წლის 25-ე ნომერში დაიბეჭდა. წერილის ავტორი ავითარებდა აზრს იმის თაობაზე, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლეთში შექმნილი არაკია, რომელიც დიდი ხნის წინათ საქართველოში ზეპირი გზით შემოვიდა და გავრცელდა, დროთა განმავლობაში ნამდვილ ქართულ თხზულებად გარდაიქმნა, ხალხის მიერ აქვე გაილექსა და ჩვენს ზეპირსიტყვიერებას ნაწყვეტების სახით შემორჩა. აი, ეს გალექსილი თქმულება დაედო საფუძვლად შოთას პოემას.

ალ. ხახანაშვილი წერდა: „ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილია ლიტერატურულ პოემად; პოეტს შეუტანია კაცის ამაღლელებელი და განმასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა, თავიდან ბოლომდე გაუტარებია ის აზრი და ამით შეუერთებია დაწყვეტილი ლექსები“. (ხახანაშვილი 1890: 25).

ამ წერილის საპასუხო წერილი ნიკო მარმა გაზეთ „თეატრის“ იმავე წლის მე-12 ნომერში დაბეჭდა. ნიკო მარი დიდი ერუდიციისა და ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, მაგრამ ამჯერად ვერ ივარგა. იგი წერდა: „მე სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია რუსთაველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი უნდა

გაელექსოს, რამდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გაავრცელა ან შეამოკლა, ამაზე სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავ... ველი ცნობებს ერთ-ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება, ლონდონში და იქნება თვით ვეფხისტყაოსნის დედანია”. (მარი 1890: 12).

პრესაში გამოქვეყნებულმა ამ პუბლიკაციებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. განსაკუთრებით აღაშფოთა მისი წარმომადგენლები პასკვილამდე მისულმა ნიკო მარის წერილმა. მეცნიერის წინააღმდეგ გაილაშქრეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, სხვა მოღვაწეებმა.

ხმალი იშიშვლა ვაჟა-ფშაველამაც, ამ სახელოვანი მამულიშვილების უმცროსმა თანამებრძოლმა, რომელიც ბეჯით მეციხოვნედ დაუდგა „ვეფხისტყაოსანს”. თავდაპირველად იგი შეეკამათა ალექსანდრე ხახანაშვილს იმავე 1890 წელს, გაზეთ „ივერიის” 39-ე ნომერში დაბეჭდილი წერილით. რა თქმა უნდა, ვაჟა უარყოფდა ისტორიის მკვლევართა მოსაზრებებს „ვეფხისტყაოსნის” ფოლკლორისტული წარმომავლობის შესახებ. იგი კატეგორიულად აცხადებდა, რომ ყველა როდი ფლობს ნამდვილ მეცნიერულ მეთოდს. ასეთები არც საბუთების სისწორეს დაგიდევენ და დასკვნებსაც მცდარს აკეთებენ. ამიტომაც, რომ ეს მკვლევარები ყალბი სასწორით ზომავენ ავსა და კარგს. აი, ასეთი მკვლევარები გამოუჩნდნენ „ვეფხისტყაოსანს”, რომლებიც იმაშიც კი ვერ გარკვეულან, რატომ გამოაცხადა რუსთაველმა თავისი პოემა სპარსულიდან ნათარგმნად. ვაჟა ფიქრობდა, რომ სამეფო კარზე იყო საიდუმლოდ მოცული რაღაც ისეთი ამბავი, რომლის გამჟღავნება არ მოეწონებოდათ თამარს და მის მეუღლეს, ამიტომ შოთა მათთან „საკამათებლად” მიიჩნევდა ამ შემთხვევას, რის გამოც პოემას სპარსული არაკიდან ნათარგმნს უწოდებდა.

მთელი პოემის პათოსის გამო ვაჟა თავს ვალდებულად თვლიდა, განეცხადებინა შემდეგი: „ნუთუ თამარის დიდებული ეპოქა თავის გამოჩენილი ისტორიკოსებით, მჩქეფარე, გამარჯვებული ცხოვრება არ აღაფრთოვანებდა შოთას, არ ააჟღერებდა მის ჩანგს, არ აძლევდა მასალას ტიპების შექმნისას, შინაარსს „ვეფხისტყაოსნისათვის”?” (ვაჟა-ფშაველა 1964: 116).

ვაჟა მკვლევართა ერთ ნაწილს იმასაც უკიჟინებდა, რომ მათ არ შესწევდათ უნარი, ინდივიდუალური შემოქმედება ხალხურისგან განესხვავებინათ.

თავის მოსაზრებას, რომ პოემა შოთამ დაწერა, შემდეგ ხალხმა აიტაცა და თავისებურად გარდაქმნა, ვაჟა რამდენიმე დებულებით ცხადყოფდა. უპირველესი ის იყო, რომ ხალხმა „ვეფხისტყაოსანს” ამდენი ხნის მანძილზე შეუნარჩუნა აზრიც (შინაარსიც) და ფორმაც. ამ ნათქვამის დასამტკიცებლად პოეტს მოჰქონდა რამდენიმე მაგალითი როგორც პოემიდან, ისე ხალხური ლექსიდან. ვაჟა უარყოფდა ა. ხახანაშვილის მტკიცებულებას იმის შესახებ, თითქოს შოთამ ხალხის მიერ მოკლედ („მოჭრით”) გამოთქმული აზრი „განადიდა-გააზვიდა“, რაშიც, ცხადია, გაჭიანურებას გულისხმობდა და მაგალითებით ასაბუთებდა ამ ნათქვამის უმართებულობას.

ვაჟა ა. ხახანაშვილს იმასაც შეახსენებდა, რომ სახალხო მთქმელებს სჩვევიათ ლიტერატურიდან წამოღებული ამა თუ იმ ავტორისეული ნაწარმოების

გადასხვაფერება, მით უმეტეს, დავიწყებული ადგილების თავისებურდ შევსება. ვაჟას თქმით, ასეთი შემთხვევები ხალხურ „ვეფხისტყაოსანშიც“ დაიძებნება.

ა. ხახანაშვილისადმი მიმართულ წერილს ვაჟა შემდეგი მრავლისმეტყველი სიტყვებით ამთავრებდა: „დასასრულ ვისურვებ, რომ ბ-ნი ა.ხახანაშვილი ფრთხილად და ფხიზლად მოეკიდოს “ვეფხისტყაოსანს”, უფრო ისტორიულის თვალთ უცქიროს. დარწმუნებულიცა ვარ, როცა შეადარებს ყველა ვარიანტს და დაუპირისპირებს ერთიერთმანეთს, დაგვეთანხმება და ბედაურიდამ არ ჩამოახდენს შოთას”. (ვაჟა-ფშაველა 1964: 120).

ვაჟა-ფშაველამ ნიკო მარს გვიან გასცა პასუხი. მწერალმა ჟურნალ „განათლების“ 1911 წლის მე-8 ნომერში გამოაქვეყნა წერილი „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, სადაც დაგმო მეცნიერის მცდარი შეხედულება.

ვაჟა წერდა, რომ ნ. მარი ოცი წელია, ჯიუტად იმეორებს თავის უმართებულო მოსაზრებას სპარსულიდან პოემის თარგმანის თაობაზე, საზოგადოებას ჰპირდება „ვეფხისტყაოსნის“

სპარსული დედნის წარმოდგენას, მაგრამ აქამდე მისგან არანაირი დამადასტურებელი საბუთი არ ჩანს.

ვაჟა მოურიდებლად წერდა, რომ ნიკო მარი ხელოვნების ნაწარმოების შემფასებლად არ გამოდგება, რადგან ვერ შეუცვნია „დიდი ნიჭის ძლიერება და ძლიერება შემოქმედებისა, რომლითაც ეს თხზულება თავიდან ბოლომდეა გაჟღერებული”. (ვაჟა-ფშაველა 1964: 303).

ვაჟას თქმით, ნ. მარის მსგავს ადამიანს არა აქვს უნარი, გაიგოს და დააფასოს ხელოვნების ნაწარმოები, არ იცის, როგორ იწერება იგი, „ვერ შეუგნია შემოქმედის პროცესის თვისება, ხასიათი“. (ვაჟა-ფშაველა 1964: 303).

ვაჟას აზრით, რომ ნ. მარს ბევრი ბრმა მიმდევარი გამოუჩნდა, რომლებიც უკრიტიკოდ იმეორებდნენ მის მცდარ შეხედულებებს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხზე.

პოეტის აზრით, ამ მკვლევარებს რცხვენიათ კარგის თქმა საქართველოზე იმის შიშით, „შოვინისტი“, „მჟავე პატრიოტი“ არავინ დაგვიძახოსო. „სირცხვილი ის კი არ არი, - წერს განრისხებული ვაჟა, - თავისი დიდება ადიდო, თავყანი სცე, - არამედ ისაა სირცხვილი, ეს დიდება მაღლიდან დაბლა ჩამოაგდო ლაფში და ფეხით გასთელო, - ვერ გაჰბედო სთქვა სიმართლე, თუნდაც ამ თქმამ კაცი იქამდის მიიყვანოს, რომ პირში ბალახი ამოსდიოდეს...” (ვაჟა-ფშაველა 1964: 306).

ვაჟა შეურიგებელი იყო ასეთი მკვლევარების მიმართ. ცხადია, საქართველოს ერთ-ერთმა უპირველესმა მწერალმა კარგად იცოდა, რომ ლიტერატურის განვითარებისთვის, მისი წინსვლისთვის კრიტიკული აზრის არსებობა აუცილებელია, მაგრამ პირუთვნელი, ჯანსაღი, კეთილგანწყობილი აზრისა და არა კრიტიკანთა ღვარძლითა და შურით აღსავსე, მიკერძოებული განსჯისა.

ვაჟას მიაჩნდა, რომ კრიტიკოსი კარგად უნდა ერკვეოდეს განსახილველი საკითხის ავ-კარგში, ყოველმხრივ იცნობდეს იმ საგანს, რაზედაც წერს. ამასთანავე, უნდა

ჰქონდეს ნამდვილი უნარი კრიტიკისა და სწორი მეთოდი კვლევისა. აი, ეს უნარი და ეს მეთოდი არ ჰქონდათ ნ. მარს და მის კვალში ჩამდგარ მკვლევარებს.

ვაჟა გამოსთქვამდა გაკვირვებას, როგორ მოხდა, რომ სპარსეთში, სადაც ნიჭიერი პოეტები თავსაყრელად ჰყავდათ, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ყველამ უყურადღებოდ დატოვა, მაშინ, როცა ყოველ საინტერესო ხალხურ ლეგენდა-ზღაპარს რამდენიმე ლიტერატურული ავტორი ჰყავდა, საქართველოში კი ისეთი მელექსე გამოუჩნდა, როგორც რუსთაველი იყო?

აი, რაზე უნდა ეფიქრათ მკვლევარებს და დასაბუთებული პასუხი გაეცათ შოთას სტრიქონებისათვის: „ესე ამბავი სპარსული“...

ვაჟას ღრმა რწმენით, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი თუნდაც მოარულ ამბავზე იყოს შექმნილი, ამით პოემას არაფერი დააკლდება, მის ორიგინალობასა და ეროვნულობას არავითარი ჩრდილი არ მიადგება, რადგან „რაც უნდა დიდებული იყოს ზღაპარი, თუ მან არ გაიარა პოეტის ფანტაზიის და გონების მანგანაში, თუ მას პოეტმა არ ჩაჰბერა უკვდავი სული, როგორც ღმერთმა თიხიდან შეზელილს ადამს და იგი ზღაპარი თუ ლეგენდა არ შეუსისხლხორცა საკუთარს სულსა და გულსა, არაფერი გამოვა, _ თავის დღეში „ვეფხისტყაოსნისთანა“ თხზულება არ დაიწერება“. (ვაჟა-ფშაველა 1964: 307).

„ვეფხისტყაოსანი“ იმიტომაც დიდებული ნაწარმოები, - ამბობს ვაჟა, - რომ შოთა ჩვეულებრივ ამბავს დიდებული სიტყვებით, ანუ მაღალმხატვრულად გადმოგვცემს. თავის აზრს ხალხური ნაწარმოების ლიტერატურულად გარდაქმნის შესახებ ვაჟა მოგვიანებით, კრიტიკოს იპოლიტე ვართაგავას მიმართ დაწერილ წერილში ავითარებდა: „ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარადაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა. ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“. (ვაჟა-ფშაველა 1964: 361).

წერილში „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ ვაჟამ პოემის ანალიზთან ერთად საკუთარი ლიტერატურული კრედოც გაგვაცნო, აღნიშნა, როგორ აუცილებელია პოეტისათვის მხატვრული აზროვნება, მკითხველის რა აღტაცებას იწვევს ავტორი თავისი უჩვეულო ხატოვანი თქმებით. ეს აზრი ნათელი რომ გახადოს, ვაჟას მოაქვს რუსთაველის ცნობილი სტროფი „მიჯნური შმაგსა გვიქვიან“, იცავს ამ სტროფის ორიგინალობას და ბოლო ტაეპის შესახებ წერს: „რა ვქნა, მე ამ ტაეპის სიყალბეს ვერ ვიტყვი, რადგან სხვას რომ თავი დავანებოთ, სიტყვები „კეკლუცთა ზედან ფრენითა“ მხოლოდ შოთას შეეძლო ეთქვა“. (ვაჟა-ფშაველა 1964: 313).

ამ მოსაზრების გასამტკიცებლად ვაჟა პროლოგის სტროფის - „მიკვირს, კაცი რად იფერებს“ - ციტირებას ახდენს და დაბეჯითებით წერს: „განა ასე მშვენივრად, ასე პოეტურად ვინც გინდა ვისმე შეეძლო ეთქვა ისა, რაც ამ ტაეპშია ნათქვამი?“ (ვაჟა-ფშაველა 1964:313).

ვაჟა დარწმუნებული იყო, რომ შოთამ პოემაში თამარის ეპოქა დახატა, მაგრამ შეფარვით, შენიღბულად, რადგან, როგორც ვთქვით, არ უნდოდა სამეფო კარის შინაური საქმეები საყოველთაო მსჯელობის საგნად გაეხადა.

„არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს იმაში, - წერდა ვაჟა, - რომ „ვეფხისტყაოსნის“ არაკი ნამდვილი ამბავია, მომხდარი საქართველოში”. (ვაჟა-ფშაველა 1964: 309).

ვაჟა ძველი ქართული ენის უზადო მცოდნე და პატივისმცემელი იყო, ამასთანავე, თავდადებული დამცველი. ჯერ კიდევ 1901 წელს წერილში „ენა“ ვაჟა დაბეჯითებით ამბობდა: „სათავე ენისა, ვგონებ, ყველამ კარგად იცის სად არის, ან რა არის... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა - შოთა რუსთაველი და დავით გურამიძევილი”. (ვაჟა-ფშაველა 1964: 187).

ქართული ენა, ვაჟას თქმით, ხალხის წიაღში იშვა და ჩვენმა უნიჭიერესმა მგოსნებმა ხალხისგანვე შეითვისეს. ამიტომაც ამ ენაზე დაწერილი მათი თხზულებანი ხალხის მიერ უკვდავყოფილი. ვაჟა იმასაც ამტკიცებდა, რომ ეს ენა მთამ შემოინახა და დღევანდლამდე შეულახავად და შეურყვნელად მოიტანა.

ამ აზრისა იყო ვაჟა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ამასვე ამბობდა იგი „ვეფხისტყაოსნისადმი” მიძღვნილ წერილშიც: „ენა რუსთაველისა წმინდა ხალხურია და ლექსთა წყობაც დღესნამდე მთაში დაცული უნაკლოდ” (ვაჟა-ფშაველა 1964: 312).

ვაჟას არქივმა მწერლის ხელნაწერიც შემოგვინახა იგივე სათაურით „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის” შესახებ”, სადაც ავტორი გარდა „ვეფხისტყაოსანზე” საუბრისა, უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის საკუთარი პოემების თაობაზე.

ამ ხელნაწერში ვაჟა „ვეფხისტყაოსნის” ისეთ საკითხებზე მსჯელობს, რომლებიც ნაბეჭდ ტექსტში არ არის. ამ ხელნაწერში, ისევე როგორც ნაბეჭდში, ვაჟა საგულდაგულოდ ჩერდება ეპილოგის იმ სტროფზე, სადაც შოთას წინა პერიოდის მწერლებზეა საუბარი და ყურადღებას ამახვილებს სტრიქონზე: „ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლმეუმრომელსა”. ნაბეჭდი ტექსტისგან განსხვავებით, ხელნაწერში მეტად საყურადღებო ფრაზას ვკითხულობთ. პოეტს მიაჩნია, რომ სწორედ სიტყვა მისსა ცხადყოფს „ვეფხისტყაოსნის” მთელ საიდუმლოებას.” „ამ სიტყვაში ღრმა აზრია დამარხული, - ამბობს ვაჟა, -სახელდობრ ისა, რომ რუსთაველს ან თავის-თავი ჰყავს გამოყვანილი ტარიელად, რადგან ტარიელი მისია (რუსთაველისა) და იგი (რუსთაველი) ტარიელისა და თუნდაც ტარიელი ზღაპრული გმირი იყოს თავის ტემპერამენტით, თავის პსიხით, თავის ღვაწლმოსილობით სიყვარულის ოკიანეში, თავის მსგავსად ჰყავს ავტორს”. (ვაჟა-ფშაველა 1964: 328).

ვაჟას რუსთაველი ქვეყნის დიდ პატრიოტად მიაჩნია, რომელიც ეთაყვანება საკუთარ სამშობლოს, საკუთარ საქართველოს თავის მცხოვრებლებიანად, თავის დაბა-ქალაქებიანად.

„ვეფხისტყაოსნის” საკითხს ვაჟა კიდევ ერთ წერილში „მცირე რამ კიდევ „ვეფხისტყაოსნის” შესახებ” შეეხო.

წერილი ვაჟას სიცოცხლეში არსად დაბეჭდილა. იგი სულ ორგვერდიანია და ბოლო წინადადება გაწყვეტილია, რაც გვაფიქრებინებს, რომ წერილი ან ვერ დაამთავრა, ან ბოლო გვერდები დაიკარგა, რის გამოც, ბუნებრივია, წერილს თარიღი არ უზის.

როგორც ვაჟა გვაუწყებს, მისთვის წერილის დაწერა შეუგულიანებია ს. ქვარიანის ნაშრომს, რომელიც ჟურნალ „მოამბის“ 1903 წლის VII და VIII ნომრებში დაიბეჭდა. (ქვარიანი 1903: VII – VIII). წერილში ვაჟა იმეორებს ბევრჯერ ნათქვამს, რომ შოთას პოემა ორიგინალური ნაწარმოებია და მასში თამარის ეპოქა ასახული, მაგრამ რომელიმე ამბავზე რომც იყოს აგებული, მისი რწმენით, პოემას არა დააკლდება რა.

თავის წერილში ს. ქვარიანი ავითარებს აზრს იმის თაობაზე, რომ ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის სამიჯნურო თავგადასავალში იგულისხმება თამარისა და მისი ბიძაშვილის, დემეტრეს (დემნას), სატრფიალო ამბავი.

დემეტრე (დემნა) იყო თამარის მამის, გიორგი მესამის ძმის, დავითის ვაჟი. ისტორიიდან ცნობილია, რომ დემნამ ბიძამისს ტახტის წართმევა დაუპირა, რის გამოც სასტიკად დასაჯეს. „დემნას, ვითარცა განდგომილს უფლისწულს - წერს ივანე ჯავახიშვილი, - თვალები დასთხარეს და გამოასაჭურისეს, რომ ჩამომავლობა არ ჰყოლოდა“.(ჯავახიშვილი 1983: 242). აი, ასე გაბედიტებული თამარის ბიძაშვილი ადრევე გარდაიცვალა.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილ ნაშრომში მიუთითებს, რომ თამარისა და დემნას სასიყვარულო ისტორია საფუძველს მოკლებულია. არსად, არც ერთ საისტორიო წყაროში, ეს ამბავი არ არის დაფიქსირებული.

ამასთან, თამარი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო და ნათესაურ კავშირს საღმრთო კანონად მიიჩნევდა. (კეკელიძე 1981: 1710).

ვაჟა-ფშაველას წყება წერილებისა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ქართული პოლემიკური ლიტერატურის კლასიკური ნიმუშებია და ამ ნათქვამში არავითარი გადაჭარბება არ არის. კვლევითი ხასიათის ზემოგანხილულ შრომებში მთელი სისრულით გამომჟღავნდა დიდი პოეტისა და პროზაიკოსის კიდევ ერთი უმაღლესი გონებისმიერი ნიშანი - მეცნიერული აზროვნების ნიჭი და კრიტიკული განსჯის უნარი.

მეცნიერულ დონემდე აყვანილი ეს თხზულებანი, ასეთივე ხასიათის სხვა ნაწერებთან ერთად ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის ფასდაუდებელი საუნჯეა, რომელშიც XIX საუკუნის ქართული სამოციანელების, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძის, ეროვნულ-პატრიოტული კონცეფცია აისახა.

დასასრულ, ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ მთელ რიგ კრიტიკულ-პოლემიკურ წერილებში, მათ შორის წერილებში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, დღესაც მღელვარებს უკვდავი სული ვაჟა-ფშაველასი, სული ქვეყნის დაუცხრომელი მოჭირნახულისა, რომელიც კეთილსაიმედო დარაჯად უდგას ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს.

Vazha-Pshavela – devoted guardian of *Knight in the Panther's Skin*

Summary

The world history has preserved numerous examples of human injustice. At present we are interested in the life of genius Shota Rustaveli. Legends tell us different stories: one version claims that the middle aged Shota Rustaveli was exiled from Georgia, the other version suggests that in his old age he left the country voluntarily, went to the Holy Cross Monastery in Jerusalem and was tonsured as a monk. This is a legend, but we can hardly know what really happened. One thing we can be sure of is that *Knight in the Panther's Skin* attracted supporters as well as enemies throughout the centuries. The issue of originality vs. being translated from other work was followed by particularly passionate debates. Part of researchers believed that the poem was the fruit of Rustaveli's imagination and it was created in Georgia, the other part reckoned it to be borrowed from foreign sources (possibly Persian), which Rustaveli only rhymed in his own way.

The disagreement reached its climax in 1880s and 1890s. The Georgian scholars, writers, critics, and journalists published more than one letter. One of the earliest authors that the public attention was drawn to was Alexander Khakhanashvili. The author of the letter developed the idea that *Knight in the Panther's Skin* was a story produced in the East, which arrived to Georgia many years ago by oral tradition. The scholar was criticized by Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Iakob Gogebashvili and others.

Vazha Pshavela also stood up against the view. He was convinced that there must have been something hidden at the court that would not benefit the name of Tamar and her husband and that was the reason why the poem was regarded by some as the translation from a Persian story.

Vazha also blamed his contemporaries for being unable to distinguish between individual production and folklore.

Vazha supported his own view that the poem was written by Shota Rustaveli, then it was much-admired and transformed by people. The main thing was that people preserved the idea (and content) and form of *Knight in the Panther's Skin*. In support of his argument the poet would refer to the examples from the poem as well as from folk verses.

Vazha-Pshavela also condemned the fallacies expressed by Niko Marr regarding *Knight in the Panther's Skin*.

It will not be an exaggeration to say that Vazha-Pshavela's publications regarding *Knight in the Panther's Skin*, display the examples of the classics of Georgian polemical literature. The above mentioned scholarly papers point to another sign of genius characteristic to the Great poet and a writer – his exceptional gift of academic thinking and an outstanding skill of critical analysis.

Mamuka Chanturia Doctor of Philology

მედიაგანათლების ესთეტიკური კონცეფცია

ლ. ქათამაძე (სტუ ასოც. პროფესორი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომათა კრებული „განათლება“, თბ., 2017,2(18)
,გვ.79-83.

ანოტაცია

მედიაგანათლების ესთეტიკური თეორია ცდილობს დაიცვას საზოგადოება, განსაკუთრებით მისი მოზარდი და ახალგაზრდა ნაწილი თანამედროვე მედიის ნეგატიური ზეგავლენისგან, რომელიც მასობრივი კულტურისგან მოდის.

ესთეტიკური (მხატვრული) თეორიის მიზანია მედიის მხატვრული სპექტრის კვალიფიციური ანალიზის უნარების გამომუშავება, მედიაკულტურის ენის ახსნა და დეკოდირების სწავლება, ესთეტიკური აღქმისა და გემოვნების გამომუშავება. ამ ძირითადი მიზნების მიღწევა უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ იმ მეთოდებით, რომლებიც წინ წამოწია ამ თეორიამ გასული საუკუნის 60-იან წლებში, არამედ მედიაკულტურის საზღვრების გაფართოებითა და ჭეშმარიტი კულტურული ღირებულებების გააქტიურებით. სწორედ ამ მიზნით არის რეანიმირებული სტატიაში ეს სამეცნიერო კონცეფცია და თანამედროვეობის პრიზმაშია გარდატეხილი.

რელიგიურ-ეთიკური პოზიციები და საზოგადოება

ქეთევან გაფრინდაშვილი სტუ-ს ასისტ. პროფესორი

რეზიუმე

გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-სამართლებრივი რეფორმების წარმატებისა და საქართველოს შემდგომი წინსვლისთვის აუცილებელია რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები.

From religious and ethical point and piepl

Ketevan Gafrindashvili GTU's asist. professor

Rezume

It is necessary to have deep understanding of natural development of society from religious and ethical point of view for the transitional period of socio-economic, for the success of cultural and legal reforms and further progress of Georgia.

პოლიტიკური დისკურსი და ევფემიზმები

რუსუდან გოცირიძე

Scripta Manent, #4. თბილისი, 2017, (იბეჭდება)

რეზიუმე

ევფემიზაცია ლინგვისტიკის ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური ტენდენციაა. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ მას უამრავი სამეცნიერო კვლევა ეძღვნება.

ევფემიზმი ლინგვისტური ხერხია, რომელიც კვლავ და კვლავ იპყრობს ლინგვისტთა ყურადღებას და თანამედროვე ინგლისურ ენაში ერთ-ერთი ყველაზე ცენტრალური პრობლემის ფუნქციას ინარჩუნებს. ევფემიზმი ზრდილობიანი გამოთქმაა, რომელიც უხეში და მოსასმენად არასასიამოვნო სიტყვებისა თუ ფრაზების ჩასანაცვლებლად გამოიყენება. ევფემიზმების გამოყენებას რეგულარული ხასიათი აქვს, შესაბამისად, ევფემიზმების მაგალითები მრავლად გვხვდება ყოველდღიურ მეტყველებაში.

წინამდებარე სტატია ეძღვნება იმ ევფემიზმების განხილვას, რომლებიც პოლიტიკური ლექსიკის ნაწილად იქცა და მიზნად ისახავს საზოგადოებისათვის ფაქტების მიზანმიმართულად დამალვა-მიჩქმალვას.

Political discourse and Euphemisms

Rusudan Gotsiridze

Scripta Manent, #4. თბილისი, 2017, (Is printed)

Abstract:

Euphemization is one of the most intensive tendencies in linguistics. Therefore, it is not surprising that in literature there are numerous research works devoted to it.

Euphemism is a linguistic device which draws linguists' attention again and again and it still remains one of the central problems in Modern English. A euphemism is a polite expression used in place of words or phrases that otherwise might be considered harsh or unpleasant to hear. Euphemisms are used regularly, and there are many examples in everyday language.

The current paper deals with the euphemisms which have entered the political lexicon and have their roots in the purposeful concealment of facts from the outside world.

სანსარა – სიკვდილისა და სიცოცხლის წრებრუნვა

მანანა ასლანიშვილი

სტუ, თბილისი. (მონოგრაფია) იბეჭ. 2017)

ანოტაცია:

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სიცოცხლისა და სიკვდილის კონცეპტები, რომლებსაც ცენტრალური ადგილი უკავიათ კულტურულ კონცეფტა შორის. მათი ინტერპრეტაცია ხდება კოგნიტური, ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური და ა.შ. შეფასებითი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

მითითებული კონცეფტების მიმართ ინტერესი დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი წარმოადგენენ კულტურის საკვანძო კონცეფტუალურ მდგენელებს, რომლებიც დღემდე ჯეროვნად არ არიან შესწავლილნი ლინგვისტიკაში, სავარაუდოდ იმიტომ, რომ მათი ინტერპრეტაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან სირთულეს, ვინაიდან მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას.

Sansara the Cycle of Death and Life

Manana Aslanishvili

GTU, Tbilisi. (Monograph) printed. 2017)

Annotation:

The present work deals with the concepts of life and death, which occupy the place central among the cultural concepts. Their interpretation is based on cognitive, psychological, and cultural evaluation criteria. The interest to the mentioned above concepts is related to the fact that they are the core key concepts of culture that are not yet well studied in linguistics. It is so because their interpretation causes a significant difficulty since it requires interdisciplinary approach.

კონცეპტუალური შერევა როგორც მენტალური ოპერაცია, რომელსაც მივყავართ

ახალი მნიშვნელობის შექმნამდე

მარინა ზორანიანი

სამეცნიერო ჟურნალი "Scripta Manent". თბილისი, №1 (33), გვ. 44-48

რეზიუმე

სტატია იხილავს კონცეპტუალური შერევის ცნებას როგორც საბაზო მენტალურ ოპერაციას, რომელსაც მივყავართ ახალი მნიშვნელობის შექმნამდე. კონცეპტუალური შერევის თეორია შემოტანილ იქნა ფოკონიესა და თერნერის მიერ როგორც ადამიანური შემეცნების ზოგადი თეორია. ეს ერთერთი მთავარი თეორიაა, რომელსაც ეყრდნობა თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტიკა. მას დიდი გავლენა აქვს კოგნიტურ მეცნიერებაზე. კონცეპტუალური შერევა ღრმა კოგნიტური აქტივობაა, რომელიც ქმნის ახალ მნიშვნელობებს არსებულისგან. კონცეპტუალური შერევის თეორიის მიხედვით, მრავალფეროვანი სცენარების ელემენტები და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობები "ირევა" ქვეცნობიერ პროცესში, რომელიც სავარაუდოდ ყველგან და ყოველთვის არსებობს საყოველღეო ფიქრსა და ენაში. შერევის თეორია ცხადს ხდის ჩვენი ფიქრის, ჩვენს ირგვლივ მყოფი სამყაროს გაგებისა და შექმნის მანერას. ეს თეორია ეხება როგორც ლინგვისტურ, ისე არალინგვისტურ შერევას. ის საინრეტესო შეხედულებას გვთავაზობს მეტაფორების შესაძლო შექმნას.

Conceptual Blending as a Basic Mental Operation Leading to the Creation of a New Meaning

Marina Zoranyan

samecniero Jurnalı "Scripta Manent". Tbilisi, №1 (33), gv. 44-48

Abstract

The article views the notion of conceptual blending as a basic mental operation leading to the creation of a new meaning. Conceptual blending theory was proposed by Fauconnier and Turner as a general theory of human cognition. It is one of the major theories on which modern cognitive linguistics is based. It has considerable influence on cognitive science.

Conceptual blending is a deep cognitive activity that makes new meanings out of existing ones. Conceptual blending theory claims that elements and vital relations from diverse scenarios are "blended" in a subconscious process, which is assumed to be omnipresent to everyday thought and language. Blending theory gives insight into our way of thinking, understanding and creating the world around us. This theory deals with both linguistic and non-linguistic blends. It provides interesting insights into the possible creation of metaphors.

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეოლოგიის დეპარტამენტი

პროფესორი, დეკანოზი ლევან მათეშვილი

მონოგრაფიები

1. საქართველოს ქრისტიანიზაციის პრობლემები (I-IV სს)

პირველ საუკუნეებში ქრისტიანობის გავრცელება ისტორიული და საღვთისმეტყველო მეცნიერებისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. ქრისტიანობის აგავრცელების უძველეს არეალებს თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაც განეკუთვნება. არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე კარგად არის ცნობილი, რომ დასავლეთ ად აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა ჩვ. წ. აღ.-ის პირველივე საუკუნეში შევიდა. შემდეგ, ხანმოკლე პერიოდში, ის ამ რეგიონში მცირე თემებიდან იბერიისა და კოლხეთის "ოფიციალურ რელიგიამდე" რთულ გზას გაივლის. ამასთან, საქართველოში ქრისტიანობის ადრეული პერიოდის (I-IV სს.) ისტორია თეთრ ლაქად რჩება როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ისტორიოგრაფიაში. საქართველოს ქრისტიანიზაციის ისტორიის კვლევა, ტრადიციულად, წმ. ნინო მოღვაწეობით იწყება (IV ს.). თანამედროვე მეცნიერებამ საკმაო მოცულობის ცნობები დააგროვა, რომელთა

საფუძველზე შეიძლება რეგიონში ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში, ანუ IV საუკუნემდე, არსებობის ცალკეული მომენტების რეკონსტრუქცია მოვახდინოთ. ასევე, შესაძლებელია საკვანძო IV საუკუნეში საქართველოს ქრისტიანიზაციის უმნიშვნელოვანესი საკითხების რეკონსტრუქცია და გარკვევა.

Problems of Christianization of Georgia (I-IVc)

The spread of Christianity in the early centuries A.C. is a particularly interesting topic for historic and theological sciences. One of the ancient areas where Christianity was spread is contemporary territory of Georgia. On the ground of archaeological evidences we know well that Christianity appeared in Western and Eastern Georgia in the first century and soon afterwards it went through a long way from small Christian communities to the status of the "official religion" of Iberia and Kolkheti. Nonetheless, the history of Christianity in Georgia in the early period (I-IV cc) remains a blank spot in Georgian as well as in the international historiography. The studies of christianization of Georgia begin with IV century when st. Nino came to Georgia with her mission. Modern science has collected a significant amount of data on the issue, so we can try to reconstruct particular topics on Christianity in the region, tweak and make clear some of the most important issues of Christianization of Georgia in the key period (IV c.).

Проблемы Христианизации Грузии (I-IV вв.). Монография, «Технический университет», 2017, гл.230;

Распространение христианства в первые века его существования представляет особенный интерес для исторической и богословской науки. К древнейшим ареалам распространения христианства относится и территория современной Грузии. На основании археологических данных хорошо известно, что в Восточной и Западной Грузии христианство появляется уже в первом веке нашей эры, и затем в кратчайший срок проходит в данном регионе сложный путь от верования не приметных общин до «официальной» религии Иберии и Колхети. При этом история христианства в Грузии в ранний период (I-IV вв.) остается во многом белым пятном как в грузинской, так и в международной историографии. Традиционно исследование христианизации Грузии начинается с деятельности св.

Нины, т. е. с IV в. Вместе с тем современная наука накопила значительный объем сведений, на основании которого можно попытаться реконструировать отдельные моменты, связанные с христианским присутствием в регионе до IV века, а также скорректировать и прояснить важнейшие вопросы истории христианизации Грузии в ключевом IV веке.

2. სეკულარული სახელმწიფო და რელიგიური საგნების სწავლების საკითხები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, გამ-ბა „ინტელექტი“, 2017, გვ.271; თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა წინა პლანზე წამოსწია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: გლობალიზაცია, ადამიანთა უფლებების დაცვის პრობლემები, ტერორისტული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა, მოსახლეობის გახშირებული მიგრაციები. საერთო და მთავარ მდგენელს ამ პრობლემებში წარმოადგენს რელიგია და რელიგიათაშორისი ურთიერთობები. რელიგიური განათლება ხდება ის მთავარი მექანიზმი, რითაც შეგვეძლება უზრუნველვყოთ ისეთი სოციუმის ჩამოყალიბება, რომელიც ტოლერანტული იქნება სხვათა რელიგიური გრძნობებისადმი და არ დაუშვებს ამ ნიადაგზე შუღლს. წიგნი განიხილავს ამ საკითხებს და გთავაზობს საქართველოს მოცემულობაში ოპტიმალურ გამოსავალს შესაბამისი რეკომენდაციებით. წიგნი განკუთვნილია განათლების მეცნიერებების სპეციალისტებისთვის და ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

2. A secular state and the issues of teaching religious subjects in public educational institutions

Globalization, human rights, fighting against threats of territorial integrity, migration issues has become relevant recently due to social and political processes in the modern world. The general and the main component of these problems is religion and

relationships between them. Issues related to religion need to be reinterpreted and reconsidered to facilitate regulation of interfaith relationships. There is a great experience of religious relationships in the world, thus the fundamental study of the history of religion has become very important. In today's secular globalized world education is one of those mechanisms that will help us to create a tolerant society which will prevent religious conflicts. To this end religious disciplines must become a part of curriculums. The aim of this research is to establish the necessity an optimal ways of teaching of religious subjects in our public schools that will not contradict public mentality and national education program and will be in accordance with local educational environment and legislation.